Nikoloz Nikoladze 01008015820

Digitally signed by Nikoloz Nikoladze
Date: 2024.02.11 17:37:11

საქართველოს პარლამენტის ბიუროს

საკანონმდებლო წინადადება
(წარმოდგენილია საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 105-ე მუხლის გათვალისწინებით)

ცვლილების სახეობა:

- საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ
- დიპლომატიური სამსახურის შესახებ საქართველოს კანონში[1] ცვლილებების შეტანის შესახებ
- საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილებების შეტანის შესახებ

- საკითხი - თანამდებობის პირთა მიერ საეკლესიო ფუნქციების განხორციელების შესაძლებლობის განსაზღვრა. მოცემული საკითხის შემოთავაზების საბოლოოდ გადაწყვეტა განპირობებულია ისრაელში საქართველოს (ყოფილი) ელჩის თანამდებობიდან გათავისუფლებით (მოცემულ ეტაპზე საერთაშორისო პროექტებში მუშაობა ამჯობინა[2]), რაც საკითხის განმხილველ პარლამენტის წევრებსაც იმედია მოუხსნის იმ უხერხულობას, რომელმაც საკითხის შესწავლამ შეიძლება გამოიწვიოს. ამასთან, აღვნიშნავ, რომ მოცემული საკითხის ირგვლივ მსჯელობა მქონია/ მომისმენია მათი პოზიციები (ბუნდოვნად მახსოვს - თითქოს საკითხის მოწესრიგებაზე ინიცირებულიც იყო წინადადება - თუმცა, ვერ მოვიძიე მსგავსი მიმართვა), როგორც ყოფილ მოხელეებთან, ასევე, ახლო ნათესავებთან (საკითხის მოწესრიგების ქვემოაღნიშნული ფორმით საჭიროებაზე ხედვის კონტურები ამ წლების განმავლობაში მოსმენილი თუ გააზრებული/ გაზიარებული ინფორმაციის შედეგად შემექმნა). უპირველეს ყოვლისა - მოვიბოდიშებ თუ გარკვეული საეკლესიო ტერმინებისადმი ან სამართლებრივი საკითხებისადმი ჩემი არასაკმარისი ცოდნა გამოვლინდება, თუმცა, დარწმუნებული ვარ - ჩემმა წინადადებამ უნდა უზრუნველყოს არსებული გამოწვევის სათანადო ფორმით აღქმა. წინადადება კი ეფუძნება ყველა ქრისტიანისთვის მნიშვნელოვან მოვლენას - აღდგომის ღვთაებრივი წმინდა ცეცხლის საქართველოში ჩამოზრძანებას, რომელსაც რამდენადაც ვიცი (მათ შორის ინტერნეტ პრესის საშუალებებით) მოცემულ პროცესს ბოლო სამი ათწლეულის წლების განმავლობაში ზემოხსენებული პირის მიერ უშუალოდ ან მისი თანამონაწილეობით ხორციელდებოდა. თავისთავად მოცემული ქმედება მადლიერების მეტს ვერანაირ განწყობას ვერ შექმნის, იგი შესატყვისი ფორმით აისახება საქართველოს სახელმწიფოს და საეკლესიო ისტორიაშიც, რომელი ქმედებაც სათავეს ჯერ კიდევ 1995 წლიდან იღებს. ღვთიური ცეცხლის საქართველოში ჩამოზრძანებისას, მეუფე დანიელის ხელმძღვანელობით იერუსალიმში გამგზავრებულ ჯგუფს, დედაოებთან ანასტასია გელაშვილთან, ეფემია მახარაძესთან, თეოდორა მახვილაძესთან ერთად და თან ახლდა ბ-ნი ლ. ჟვანიაც (სტუდენტი). ამ 28 წლიანი პერიოდის განმავლობაში, როგორც უკვე აღვნიშნეთ იგი სხვა დროსაც არაერთგზის მოგვევლინა ამ პროცესის განმახორციელებელ პირად, რა დროსაც მისი სტატუსები არაერთგზის შეიცვალა (კათოლიკოს პატრიარქის საერთაშორისო ფონდის ხელმძღვანელი, პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი და ა.შ.). ნამდვილად არ მახსოვს დაზუსტებით ზემოხსენებულ მისიას იგი პარლამენტის წევრად ან სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირად (მინისტრი, მინისტრის

---

1 საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, თუ სპეციალური კანონმდებლობით ან მის საფუძველზე სხვა რამ არ არის დადგენილი, ამ კანონის მოქმედება ვრცელდება დიპლომატიურ თანამდებობის პირებზეც. ამასთან, დიპლომატიური თანამდებობის პირების უფლებამოსილების ფარგლებს განსაზღვრავს დიპლომატიური სამსახურის შესახებ საქართველოს კანონი.

2 მისივე განმარტებით, შეთავაზება ისრაელიდან აქვს და ის საერთაშორისო პროექტებს უკავშირდება, რომელმაც „ალბათ, უახლოეს მომავალში ახლო აღმოსავლეთში ძალიან ბევრი რამ უნდა შეცვალოს" – https://www.interpressnews.ge/ka/article/785095-lasha-zhvania-diplomatiuri-samsaxuridan-midis

საქართველოს პარლამენტი
საქმისწარმოება დეპარტამენტი
შემოსულია 1-2048/24
22.02.2024

მოადგილე) ყოფნის პერიოდშიც (2002-2005, 2008-2009 წლებში) ყოფნის პერიოდშიც ტვირთულობდა თუ არა, თუმცა, ბოლო წლებთან მიმართებით ასეთი ფაქტების გახსენება უფრო ადვილია. საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის (წერილი №9164 18 / დეკემბერი / 2023 წ.; 9276 22 / დეკემბერი / 2023 წ.) თანახმად, 2018 წლის 16 დეკემბრიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის საზღვარგარეთ მივლინების შესახებ სამართლებრივი აქტი გამოცემული არ არის (ნაგულისხმებია სააღდგომო პერიოდში), ხოლო დამოუკიდებლად პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის/ მოვალეობის შემსრულებლის ქვეყნის ფარგლებს გარეთ ვიზიტი - მხოლოდ ქ. სტამბულში ფიქსირდება (ზემოხსენებული აქტივობის საქართველოს პრეზიდენტის ინსტიტუციის თანამონაწილეობით განხორციელების საჭიროება არ დამდგარა, სავარაუდოა - რომ მოცემული აქტივობა უფლებამოსილების შეჩერების/ შვებულების პერიოდში განხორციელდა). დიპლომატიურ სამსახურში ყოფნისას - ასევე სავარაუდოა, რომ უფლებამოსილების შეჩერების (შვებულება) პერიოდში ხორციელდებოდა მოცემული ქმედების განხორციელება. აღნიშნულის გათვალისწინებით და ჩემს მიერ მოვლენათა გარკვეული დაკვირვებით, შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ მოცემული ქმედება სამართლებრივ ჩარჩოში შეიძლება არ ხვდებოდეს და არამედ აჩენდეს კითხვებს ქმედების საქართველოს კანონმდებლობასთან თავსებადობის კუთხითაც - მაგ.: საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის მე-12 მუხლთან (საჯარო მოსამსახურე თავისი სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას მიუკერძოებელი უნდა იყოს და უნდა ხელმძღვანელობდეს მხოლოდ საჯარო ინტერესებით. **მას ეკრძალება პირადი ინტერესებით ხელმძღვანელობა**) და დიპლომატიური სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლთან (მსგავსი **ფუნქცია არ არის მოცემული**)[3] მიმართებით. უფლებამოსილების შეჩერების ფარგლებში - ალბათ ალოგიკური იქნებოდა ასევე დამატებითი ფუნქციების დაკისრება (თუგინდ მისი ძირითადი ფუნქციებიდან ჩამოშორებით). შესაბამისად, ვფიქრობ, რომ აუცილებელია პროცესის სამართლებრივად მოწესრიგება (დახვეწა). ამ ნებაყოფლობითმა პროცესმა შესაძლოა გამოეწვია ამდაგვარი სამართლებრივი თუ წარმომადგენლობითი ურთიერთობის მიმნიჭებელი გადაწყვეტილების საქართველოს საპატრიარქოს თუ სინოდის მიერ გამოუცემლობაც[4]. რა თქმა უნდა სახელმწიფოსაც და ეკლესიასაც გააჩნიათ საკუთარი მოვალეობანი ადამიანთა წინაშე, რა დროსაც უპირატესობა სავარაუდოდ ვერ მიენიჭება ვერც ერთ მხარეს, თუმცა, განსხვავებით სახელმწიფოსი, მრევლისადმი ზრუნვის და რწმენის განმტკიცების ფუნქციის ეკლესიისადმი მიკუთვნება

---

[3] დიპლომატიური სამსახურის ძირითადი ამოცანები და ფუნქციებია: ა) დიპლომატიური საშუალებებით საქართველოს სუვერენიტეტის, ქვეყნის უსაფრთხოების, მისი ტერიტორიული მთლიანობისა და საზღვრების ურღვევობის და სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვა; ბ) საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსის ძირითადი მიმართულებების შესახებ წინადადებების შემუშავება; გ) საერთაშორისო ურთიერთობებში საქართველოს ინტერესების წარმოდგენა და დაცვა; დ) საქართველოს უსაფრთხოებისა და საერთაშორისო სტატუსის განმტკიცება;

ე) საქართველოსა და სხვა სახელმწიფოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის პოლიტიკური, ეკონომიკური, სამეცნიერო და სხვა სახის კავშირების განმტკიცება; ვ) საერთაშორისო ურთიერთობებში საქართველოს სახელმწიფო დაწესებულებების საქმიანობის კოორდინაცია; ზ) სხვა სახელმწიფოებთან საქართველოს საკონსულო პოლიტიკის გატარება; თ) საზღვარგარეთ განლაგებული საქართველოს საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და დაწესებულებების საქმიანობისათვის ხელის შეწყობა; ი) კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს მოქალაქეთა ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა; კ) ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებათა და თავისუფლებათა დაცვისათვის ხელის შეწყობა; ლ) საერთაშორისო და რეგიონული მშვიდობისა და უსაფრთხოების განმტკიცებისათვის ხელის შეწყობა; მ) საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების განუხრელი დაცვისა და შემდგომი განვითარებისათვის ხელის შეწყობა.

[4] სწორედ, რომ საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის შესაძლო დარღვევის პრევენციის მიზნით, აუცილებელია საკითხის სამართლებრივ ფორმატში მოწესრიგება.

უფრო ლოგიკური უნდა იყოს. ამ პროცესში კი - საპატრიარქოს შესაბამისი ორგანოს წევრთა საერთო პოზიციის შემუშავება, ალბათ კიდევ მეტად გააძლირებს დამოუკიდებლობის ხარისხს. შესაბამისად, კონკორდატით დასახული ამოცანებიდან გამომდინარე, სახელმწიფოს მხრიდან თანამშრომლობის გაწევა მოხდება შესაბამისი შეჯერებული გადაწყვეტილების გათვალისწინებით, იმ საჭიროების გამოკვეთით, რა დროსას ფინანსური/ ადამიანური რესურსის დროულად ვერ მოძიების ან/და მიმღები ქვეყნის ბიუროკრატიული პროცედურების გათვალისწინებით, განისაზღვრება უფლებამოსილ თანამდებობის პირთა (სახელმწიფოს) მხრიდან მხარდაჭერის (შესაბამისი მოცულობით) გაწევის საჭიროება. იგი უნდა გასცდეს აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებულ პროცედურებს და საჭიროებისამებრ უზრუნველყოფს თუგინდ უცხოეთში მოქმედი ეპარქიებისადმი დახმარებაც, რადგანაც თანამშრომლობის აუცილებლობა შესაძლოა საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლის მე-8 პუნქტითაც გამომდინარეობდეს, რამეთუ თანამემამულეების სამშობლოსთან კავშირის, ეროვნული თვითმყოფადობის და კულტურული იდენტობის შენარჩუნება და განვითარება, ასევე უკავშირდებოდეს - ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ქვეყნის ფარგლებს გარეთ სათანადო ფუნქციონირებას. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროდან მიღებული წერილის თანახმად, ქვეყნის ფარგლებს გარეთ იმყოფება დაახლოებით მილიონნახევარი მოქალაქე, რომელთა მიმართაც ვფიქრობ, რომ სახელმწიფომ უნდა იზრუნოს იმ საჭიროებების გათვალისწინებით, რომელიც მათ წინაშე დგას. საქართველოს კონსტიტუციის 32-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, საქართველო მფარველობს თავის მოქალაქეს განურჩევლად მისი ადგილსამყოფლისა. რა თქმა უნდა - სახელმწიფოსა და ეკლესიას უფლება აქვთ დადონ შეთანხმებები ერთობლივი ინტერესების სხვადასხვა სფეროებში, თუმცა, საქართველოს კონსტიტუციით და კონსტიტუციური შეთანხმებით მოცემული ზოგადი დებულებების კონკრეტული ფორმით განვრცობის უზრუნველყოფა - საკანონმდებლო აქტების მიღების გზით საქართველოს სახელმწიფოს ვფიქრობ, რომ ხელეწიფება. ამასთან, საკანონმდებლო ნორმამ უნდა შექმნას ისეთი თანამშრომლობის მექანიზმი[5], რა დროსაც გამოიხატოს სახელმწიფოს და ეკლესიის ერთიანობა, თუმცა, ამავე დროს შეურევნელი. საქართველოს კონსტიტუციის მე-8 მუხლის შესაბამისად:

- რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლებასთან ერთად **სახელმწიფო აღიარებს**[6] საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში და **მის დამოუკიდებლობას სახელმწიფოსაგან.**
- საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის ურთიერთობა განისაზღვრება კონსტიტუციური შეთანხმებით, რომელიც სრულად **უნდა შეესაბამებოდეს**[7] საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ

---

[5] ასეთად, უნდა მივიჩნიოთ სამსახურებრივი სარგებლობის პასპორტების გაცემის წესი (მთავრობის 20/05/2015 176 დადგენილებით დამტკიცებული დებულებით განსაზღვრული საპატრიარქოს უფლებამოსილი პირები) და შესაძლოა, 20/05/2015 176 დადგენილებით განსაზღვრული მიზანი (საპატრიარქოს წარმომადგენელთა დიპლომატიური და სამსახურებრივი პასპორტებით აღჭურვა საკარაუდოდ პირველ რიგში ქვეყნის ფარგლებს გარეთ შეუფერხებელ გადაადგილებას უნდა ეწესახურებოდეს), უცხო ქვეყნების სავიზო უზრუნველყოფაში მხარდაჭერშიც გამოიხატებოდეს (საკონსულო დეპარტამენტის დებულება არ იძლევა მოცემული საკითხის მარეგულირებელ ნორმებს)

[6] 2001 წლის 30 მარტს, საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლში შევიდა ცვლილება, რომელმაც უზენაეს კანონში საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმების ცნება შემოიტანა. 2002 წლის 22 ოქტომბერს კი, საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კონსტიტუციური შეთანხმება.

[7] კონსტიტუციის წინა ვერსიით, მსგავსი სახის დებულებები, რომელმაც შესაძლოა რამდენადაც მახსოვს არ გვხვდებოდა), რომელმაც შესაძლოა შეზღუდოს საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან მიმართებით ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული

აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა სფეროში.

კონსტიტუციური შეთანხმება უნდა განვიხილოთ, როგორც ორ დამოუკიდებელ სუბიექტს შორის ურთიერთობის მოწესრიგების სამართლებრივი მექანიზმი, რომლითაც განსაზღვრული პირობების[8] ცალმხრივად შეუსრულებლობის რისკი მინიმუმამდე იქნება დაყვანილი. საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის გაფორმებული კონსტიტუციური შეთანხმების პირველი მუხლის 1-ელი და მე-4 პუნქტები, სადაც მოცემულია შემდეგი:

- სახელმწიფო და ეკლესია ადასტურებენ მზადყოფნას, ითანამშრომლონ **ურთიერთდამოუკიდებლობის** პრინციპის დაცვით, ქვეყნის მოსახლეობის საკეთილდღეოდ.
- **ეკლესიას** სპეციალური უფლებამოსილების გარეშე **წარმოადგენენ:** საეკლესიო კრება, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, წმიდა სინოდი და საქართველოს საპატრიარქო (ქორეპისკოპოსისა და მდივნის სახით), ხოლო **სამართლებრივ ურთიერთობებში უფლებამოსილებას ანიჭებს კათოლიკოს-პატრიარქი.**

ზემოხსენებულის გათვალისწინებით, სასურველი იქნებოდა თუ სამოხელეო/ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განმსაზღვრელ სამართლებრივ აქტებში მოხდება საპატრიარქოსადმი მხარდაჭერის გამწევი ნორმების განსაზღვრა (დამატებითი ფუნქციის დაკისრების მოცემული საფუძვლის ან/და კონკორდატით გათვალისწინებული თანამშრომლობის განმსაზღვრელი ნორმების რეგულირებით) საკანონმდებლო თუ აღმასრულებელი ორგანოს ასიგნებების ფარგლებში.

კონსტიტუციური შეთანხმების იერარქიული უპირატესობა რამდენადაც მახსოვს არ გვხვდებოდა. საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმება უფრო მაღლა დგას (უპირატესია) ვიდრე საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება, საქართველოს ორგანული კანონი და საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტი, საქართველოს კანონი, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი და კანონქვემდებარე აქტები (ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტი)

8 კონსტიტუციური შეთანხმება ანიჭებს მართლმადიდებლურ ეკლესიას გარკვეულ უფლებასა თუ პრივილეგიას. მაგალითად, სახელმწიფო აღიარებს ეკლესიის მიერ შესრულებულ ჯვრისწერას კანონმდებლობით დადგენილი წესით; მართლმადიდებლური ეკლესიის სასულიერო პირები თავისუფლდებიან სამხედრო ვალდებულებისაგან. საქართველოს საგადასახადო კოდექსი ასევე ითვალისწინებს საქართველოს საპატრიარქოს გათავისუფლებას მოგებისა და დღგ-ს გადასახადებისაგან (ეკლესიის მიერ წარმოებული საღვთისმსახურო პროდუქცია - მისი დამზადება, შემოტანა, მიწოდება და შემოწირულობა). თუმცა, ვფიქრობ, რომ ეკონომიკური საქმიანობის უფლების შეზღუდვით (მხოლოდ შემოწირულობებით და საბიუჯეტო დახმარების მიღების პირობებში) მისი სათანადო დამოუკიდებლობის მიღწევის შესაძლებლობა რთულად მიღწევადი ხდება. მაგალითად - კვირპსოსის და საბერძნეთის მართლმადიდებულ ეკლესიებს, ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით გააჩნიათ გარკვეული სახის საწარმოებიც კი. შესაბამისად, ვფიქრობ, რომ დავაინიციირო (რა თქმა უნდა საპატრიარქოსთან შეთანხმებით) საკანონმდებლო ცვლილება - რომლითაც საპატრიარქოს მიენიჭება ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობა ნებისმიერ სფეროში. კონკორდატის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ეკლესია უშუალოდ არ ახორციელებს სამეწარმეო საქმიანობა. გამომდინარე იქიდან, რომ კონკორდატი არ შეიცავს დებულებებს მასში ცვლილებების შეტანის თაობაზე, ამიტომ უმჯობესი იქნება თუ დაინიციირდება იერარქიულად უფრო მაღლა მდგომ სამართლებრივ აქტში (კონსტიტუცია)ხსენებული უფლების თუ შესაძლებლობის მომპოვებელი ნორმის ასახვის საკითხი.

საკანონმდებლო წინადადების ავტორი/ ინიციატორი ნიკოლოზ ნიკოლაძე პ/ნ [redacted] მობ.: [redacted]; ელ. ფოსტა: [redacted], რეგისტრაციის ადგილი: ქ. [redacted];

03/02/2023

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი
0114, თბილისი, მეფე ერეკლე II მოედანი 1
ტელ: (995 32) 2990378, 2989540

CATHOLICOS-PATRIARCH
OF ALL GEORGIA
1, King Erekle II sq. Tbilisi 0114
Tel.: (995 32) 2990378, 2989540

უცხოეთში მცხოვრებნო თანამემამულენო, ჩვენო სულიერო შვილებო!

გულითადად მოგესალმებით და გილოცავთ დიასპორის დღეს. რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ არის, რომ იგი საქართველოს დამოუკიდებლობის დღის შემდეგ აღინიშნება, რაც ჩვენი ქვეყნისთვის თქვენს მნიშვნელობაზე მეტყველებს.

ადრეც მითქვამს და ახლაც გავიმეორებ, რომ თითოეული თქვენგანი სამშობლოსათვის მეტად ძვირფასია. თქვენ ჩვენი ნაწილი, ჩვენი ტკივილი და ჩვენი იმედიც ხართ, რადგან მრავალი ოჯახი თქვენით ირჩენს თავს და, ამასთან, ჩვენი ახალგაზრდების მნიშვნელოვანი ნაწილი განათლებას უცხოეთში იღებს.

მოგეხსენებათ, ნებისმიერი დიასპორა სამშობლოს სახეს წარმოადგენს და ამიტომაც დიასპორის თითოეულ წევრს უდიდესი პასუხისმგებლობა აკისრია. იმ ქვეყანაში, სადაც თქვენ იმყოფებით, თქვენზე არის დამოკიდებული საქართველოსა და, ზოგადად, ქართველებზე განწყობის შექმნა და შეხედულების ჩამოყალიბება.

ამ დატვირთვას ბევრი თქვენგანი შეიძლება ვერც აცნობიერებდეს, მაგრამ ეს რეალობაა და იგი არასდროს არ უნდა დაივიწყოთ.

ეცადეთ, ასახელოთ სამშობლო, ჩვენი წინაპრები, თქვენი ახლობლები და ოჯახი; ეცადეთ, საქართველოს სიყვარული ჩაუნერგოთ თქვენს შვილებს.

სამშობლო მარტო გეოგრაფიული ადგილი არ არის; სამშობლო შენი ენაა, შენი კულტურაა, შენი ისტორიაა, შენი წინაპრების განცდებითა და ლოცვით გაჯერებული ჰაერია, მათი სისხლითა და ოფლით მორწყული მიწა-წყალია, მათი საფლავებია. . . სამშბლო, ღმერთისგან ბოძებული ერთადერთი სახლია, რომლის გარეშეც ამქვეყნად ყოველთვის ვიქნებით მიუსაფარნი, როგორი უზრუნველი ცხოვრებაც არ უნდა გვქონდეს სხვაგან.

ამ გრძნობებისა და განწყობების განმტკიცების სურვილმა განაპირობა, რომ წლების წინ საზღვარგარეთ გაიხსნა საქართველოს მართლმადიდებელი

ეკლესიის წარმომადგენლობები, - ეპარქიები. იქ მყოფ სასულიერო პირთა დიდი ნაწილი მუხლჩაუხრელად შრომობს, რომ უცხოეთში დაბადებულ ჩვენს მომავალ თაობას მშობლიური გარემო შეუქმნან: ასწავლონ ქართული ენა და მწერლობა, ისტორია, ქართული ცეკვა და სიმღერა, ტრადიციები... ხოლო მრევლი ღვთის სადიდებლად გააერთიანონ და ერთმანეთს დააკავშირონ.

მინდა მათ და ყველა იმ ადამიანს, ვინც ამ მიმართულებით იღვწის, განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო.

მადლობა მინდა გადავუხადო ჩვენს საელჩოებს პანდემიის პირობებში გაწეული მუშაობისთვის; მადლობა საქართველოს პრემიერ-მინისტრს, რომ, სირთულეების მიუხედავად, დღეს შედგა თქვენთან შეხვედრა.

ბვჯერა, პრეზიდენტიც და ხელისუფლებაც დიასპორაზე ზრუნვას მომავალში კიდევ უფრო გააძლიერებენ, რაც დიდი შედეგის მომტანი იქნება ყველასთვის.

დავსძენ იმასაც, რომ, მართალია, ამ განსაცდელმა მსოფლიოს ცხოვრების ახალი წესები შესთავაზა და სერიოზული პრობლემებიც შექმნა, მაგრამ არ უნდა შეგეშინდეთ. ყველაფერი მაინც ღვთის ხელშია და მას მიენდეთ. ამასთან გთხოვთ, იცხოვროთ ოჯახისა და ერთმანეთის გასახარად, იცხოვრეთ ღვთის სადიდებლად და სამშობლოს საკეთილდღეოდ და თქვენ იქნებით ბედნიერნი.

ღმერთმა დაგლოცოთ თქვენ და სრულიად საქართველო!

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი

28.05.2021.

თბილისი

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია

№9276
22 / დეკემბერი / 2023 წ.

ნიკოლოზ ნიკოლაძეს

ელექტრონული ფოსტა:
[redacted]

ბატონო ნიკოლოზ,

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში შემოსული თქვენი 2023 წლის 18 დეკემბრის N1/15837 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ 2018 წლის 16 დეკემბრიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის საზღვარგარეთ მივლინების შესახებ სამართლებრივი აქტი გამოცემული არ არის.

პატივისცემით,

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის
პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი
ანგი ხუციშვილი

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის

ბრძანება

N02/06-4/02/1 2022 წლის 2 ივნისი ქ. თბილისი

ნათია სულავას სამსახურებრივი მივლინების შესახებ

1. „საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ცალკეული თანამდებობის პირებისათვის უფლებამოსილებათა დელეგირებისა და კომპეტენციების გამიჯვნის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2015 წლის 5 ნოემბრის N05/11/12 განკარგულების პირველი პუნქტის შესაბამისად, კონფლიქტებისა და შერიგების საკითხებზე 2022 წლის 10 ივნისს თურქეთის რესპუბლიკაში ქ. სტამბოლში დაგეგმილ კონფერენციაზე ბრიტანული საერთაშორისო ორგანიზაციის Conciliation Resources-ის მოწვევით დასასწრებად მივლინებულ იქნეს საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი **ნათია სულავა** თურქეთის რესპუბლიკაში, ქ. სტამბოლში 2022 წლის 9 ივნისიდან 10 ივნისის ჩათვლით.

2. ცნობად იქნეს მიღებული, რომ ტრანსპორტის ხარჯებს ქ. მილანიდან ქ. სტამბოლის და ქ. სტამბოლიდან ქ. თბილისის მიმართულებით აანაზღაურებს ორგანიზატორი.

3. „პროფესიული საჯარო მოხელის სამსახურებრივი მივლინებით გაგზავნის წესის, მისი სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურებისა და კომპენსაციის ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 25 აპრილის N211 დადგენილებით დამტკიცებული „პროფესიული საჯარო მოხელის სამსახურებრივი მივლინებით გაგზავნის წესის, მისი სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურებისა და კომპენსაციის ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“ წესის მე-3 მუხლის მე-8, 8^1,

მე-10, მე-16, მე-18 პუნქტების, N2 დანართის, N2 დანართის შენიშვნის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის საფინანსო სამსახურმა უზრუნველყოს სამივლინებო ხარჯების ანაზღაურება.

ნათია სულავა

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის

ბრძანება

N02/06-4/02/1 2022 წლის 2 ივნისი ქ. თბილისი

ნათია სულავას სამსახურებრივი მივლინების შესახებ

1. „საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ცალკეული თანამდებობის პირებისათვის უფლებამოსილებათა დელეგირებისა და კომპეტენციების გამიჯვნის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2015 წლის 5 ნოემბრის N05/11/12 განკარგულების პირველი პუნქტის შესაბამისად, კონფლიქტებისა და შერიგების საკითხებზე 2022 წლის 10 ივნისს თურქეთის რესპუბლიკაში ქ. სტამბოლში დაგეგმილ კონფერენციაზე ბრიტანული საერთაშორისო ორგანიზაციის Conciliation Resources-ის მოწვევით დასასწრებად მივლინებულ იქნეს საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი **ნათია სულავა** თურქეთის რესპუბლიკაში, ქ. სტამბოლში 2022 წლის 9 ივნისიდან 10 ივნისის ჩათვლით.

2. ცნობად იქნეს მიღებული, რომ ტრანსპორტის ხარჯებს ქ. მილანიდან ქ. სტამბოლის და ქ. სტამბოლიდან ქ. თბილისის მიმართულებით აანაზღაურებს ორგანიზატორი.

3. „პროფესიული საჯარო მოხელის სამსახურებრივი მივლინებით გაგზავნის წესის, მისი სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურებისა და კომპენსაციის ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 25 აპრილის N211 დადგენილებით დამტკიცებული „პროფესიული საჯარო მოხელის სამსახურებრივი მივლინებით გაგზავნის წესის, მისი სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურებისა და კომპენსაციის ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“ წესის მე-3 მუხლის მე-8, 8^1,

მე-10, მე-16, მე-18 პუნქტების, N2 დანართის, N2 დანართის შენიშვნის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის საფინანსო სამსახურმა უზრუნველყოს სამივლინებო ხარჯების ანაზღაურება.

ნათია სულავა

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია

№9164
18 / დეკემბერი / 2023 წ.

ნიკოლოზ ნიკოლაძეს

ელექტრონული ფოსტა:
[redacted]

ბატონო ნიკოლოზ,

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში შემოსული თქვენი 2023 წლის 11 დეკემბრის N1/15402 წერილის პასუხად გეგზავნებათ „ნათია სულავას სამსახურებრივი მივლინების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის 2022 წლის 2 ივნისის N02/06-4/02/1 ბრძანების დამოწმებული ასლი.

პატივისცემით,

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის
პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი
ანგი ხუციშვილი